



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ი



KA000071669105617

0955 გ. ახმეტა, ბოლომედიის ქ. N49, Tელ: +995 349 22 51 99; +995 349 20 13, 01
ელ. ფოსტა: akhmetia.municipality@gov.ge

№ 7

03 / აპრილი / 2017 წ.

დადგენილება

„ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საორბატოული იტეხის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1.

„ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში (www.akhmeta.gov.ge, 27/01/2017, 190020020.85, 1620016388) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული განართი ჩამოსახობები აანდორიული რედაქციით

მუხლი 2 დადგენილება ამოქვეყნდეს გამოცემაში მონაწილე

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საგებულო მსრუ



თამარ ცვინიშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

თავი I

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი სახით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	10562,6	11 643,7	3 580,6	8 063,1	9 534,4	2 109,8	7 424,6
გადასახადები	1 139,9	1 982,0	0,0	1 982,0	2 100,0	0,0	2 100,0
გრანტები	8 798,5	8 915,7	3 580,6	5 335,1	6 787,4	2 109,8	4 677,6
სხვა შემოსავლები	624,1	746,0	0,0	746,0	647,0	0,0	647,0
ხარჯები	6 353,5	7 212,6	302,3	6 910,3	6 765,5	5,7	6 759,8
შრომის ანაზღაურება	1 415,0	1 431,6	0,0	1 431,6	1 296,4	0,0	1 296,4
საქონელი და მომსახურება	903,3	1 033,2	10,4	1 022,8	864,3	0,0	864,3
სუბსიდიები	2 771,0	4 019,6	0,0	4 019,6	4 030,0	0,0	4 030,0
გრანტები	292,1	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სოციალური უზრუნველყოფა	964,8	390,7	0,0	390,7	369,1	0,0	369,1
საოპერაციო სალდო	4 209,1	4 431,1	3 278,3	1 152,8	2 768,9	2 104,1	664,8
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4 065,0	5 213,0	3 491,2	1 721,8	4 516,9	2 733,8	1 783,1
ზრდა	4 220,5	5 413,0	3 491,2	1 921,8	4 716,9	2 733,8	1 983,1
კლება	155,5	200,0	0,0	200,0	200,0	0,0	200,0
მთლიანი სალდო	144,1	-782,0	-213,0	-569,0	-1 748,0	-629,7	-1 118,3
ფინანსური აქტივების ცვლილება	105,4	-816,6	-236,2	-580,4	-1 832,4	-691,3	-1 141,1
ზრდა	687,3	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	687,3						
კლება	581,9	816,6	236,2	580,4	1 832,4	691,3	1 141,1
ვალუტა და დეპოზიტები	581,9	816,6	236,2	580,4	1 832,4	691,3	1 141,1
ბალანსი	144,1				0,0	0,0	0,0

მუხლი 2. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი სახით:

დასახელება	2015 ფაქტი	2016 წლის გეგმა		2017 წლის გეგმა	
		სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის

			წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	10 718,1	11843,7	3 580,6	8 263,1	9 734,4	2 109,8	7 624,6
შემოსავლები	10 562,6	11643,7	3 580,6	8 063,1	9 534,4	2 109,8	7 424,6
არაფინანსური აქტივების კლება	155,5	200,0	0,0	200,0	200,0	0,0	200,0
გადასახდელები	10 612,7	12660,3	3 816,8	8 843,5	11566,8	2 801,1	8 765,7
ხარჯები	6 353,5	7 212,6	302,3	6 910,3	6 765,5	5,7	6 759,8
არაფინანსური აქტივების ზრდა	4 220,5	5 413,0	3 491,2	1 921,8	4 716,9	2 733,8	1 983,1
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0,0						
ნაშთის ცვლილება	105,4	-816,6	-236,2	-580,4	-1832,4	-691,3	-1 141,1

მუხლი 3. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 9 534,4 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2015წ ლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	10 562,6	11 643,7	3 580,6	8 063,1	9 534,4	2 109,8	7 424,6

გადასახადები	1 139,9	1 982,0	0,0	1 982,0	2 100,0	0,0	2 100,0
გრანტები	8 798,5	8 915,7	3 580,6	5 335,1	6 787,4	2 109,8	4 677,6
სხვა შემოსავლები	624,1	746,0	0,0	746,0	647,0	0,0	647,0

მუხლი 4. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 2100,0 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	1 139,9	1 982,0	0,0	1 982,0	2 100,0	0,0	2 100,0
ქონების გადასახადი	1 139,9	1 492,0	0,0	1 492,0	1 470,0	0,0	1 470,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	581,1	1 119,0	0,0	1 119,0	970,0	0,0	970,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	8,1	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	503,9	322,0	0,0	322,0	464,0	0,0	464,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	46,9	51,0	0,0	51,0	36,0	0,0	36,0

მუხლი 5. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 6 787,4 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
გრანტები	8 798,5	8 915,7	6 787,4
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0,0	0,0	0,0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	8 798,5	8 915,7	6 787,4
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	5 223,9	5 335,1	4 677,6
გათანაბრებითი ტრანსფერი	5 093,9	5 205,1	4 547,6
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	130,0	130,0	130,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	3 574,6	3 580,6	2 109,8
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	2 846,8	2 828,7	2 109,8
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	727,8	751,9	0,0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები	0,0		0,0

მუხლი 6. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 647,0 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2015წლის ფაქტი	2016წლის გეგმა	2017წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	624,1	746,0	647,0
შემოსავლები საკუთრებიდან	414,0	516,0	457,0
პროცენტები	43,9	61,0	27,0
რენტა	370,1	455,0	430,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	278,9	325,0	300,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	70,7	130,0	130,0
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა			
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	43,7	70,0	30,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	43,7	70,0	30,0
სანებართვო მოსაკრებელი	22,1	50,0	10,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,2	0,0	0,0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0,0	0,0	0,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	21,4	20,0	20,0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0,0	0,0	0,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	166,2	160,0	160,0

მუხლი 7. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 6 765,5 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	6 353,5	7 212,6	302,3	6 910,3	6 765,5	5,7	6 759,8
შრომის ანაზღაურება	1 415,0	1 431,6	0,0	1 431,6	1 296,4	0,0	1 296,4
საქონელი და მომსახურება	903,3	1 033,2	10,4	1 022,8	864,3	0,0	864,3
სუბსიდიები	2 771,0	4 019,6	0,0	4 019,6	4 030,0	0,0	4 030,0
გრანტები	292,1	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	964,8	390,7	0,0	390,7	369,1	0,0	369,1

მუხლი 8. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 4 516,9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვროს 4 716,9 ათასი ლარის ოდენობით, შემდეგი სახით:

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	55,9	168,5	105,0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	0,0	0,0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	3733,4	4311,1	3383,9
04 00	განათლება	91,9	401,1	687,6
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	265,9	522,3	540,4

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	73.4	10.0	0
სულ ჯამი		4220,6	5413.0	4 716,9

ბ) არაფინანსური აქტივების კლება განისაზღვროს 200,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2015 ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	57,8	155,5	200,0
ძირითადი აქტივები	0,0	0.0	0.0
არაწარმოებული აქტივები	57,8	155,5	200,0
მიწა	57,8	155,5	200,0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქც. კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1 828,2	2 233,1	1 920,5
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1 823,3	2 221,2	1 909,8
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1 823,3	2 131,2	1 828,8
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	90,0	81,0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	4,9	6,9	6,2

ფუნქციური კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	4,9	6,9	6,2
7017	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის	0,0	0,0	0,0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0,0	5,0	4,5
702	თავდაცვა	69,9	82,2	71,1
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	308,3	0,0	0,0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა			
7032	საგანგებო სიტუაციების მართვა	308,3	0,0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	3 018,9	3 682,0	2 814,2
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	1 473,0	1 013,5	212,3
70421	სოფლის მეურნეობა	1 473,0	1 013,5	212,3
7045	ტრანსპორტი	1 546,0	2 668,5	2 601,9
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1 546,0	2 668,5	2 601,9
70454	საჰაერო ტრანსპორტი			
705	გარემოს დაცვა	299,0	535,0	532,0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	252,0	445,0	417,0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	8,9	10,0	10,0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	38,1	80,0	105,0

ფუნქციური კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	944,4	1 229,6	1 106,8
7061	ბინათმშენებლობა	0,0	336,9	205,7
7063	წყალმომარაგება	748,2	437,3	441,1
7064	გარე განათება	196,2	151,4	140,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	0,0	304,0	320,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	70,0	73,9	71,6
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	70,0	73,9	71,6
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 799,4	2 313,7	2 207,3
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	734,2	1 079,4	1 035,9
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	772,5	880,8	828,0
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	38,5	41,8	37,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	181,9	204,7	186,4
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	72,4	107,0	120,0
709	განათლება	1 304,7	1 755,4	2 107,6
7091	სკოლამდელი აღზრდა	1 304,7	1 754,8	2 087,6
7092	ზოგადი განათლება	0,0	0,6	20,0
710	სოციალური დაცვა	969,7	755,3	735,8

ფუნქციური კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	152,6	241,1	230,0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	152,6	241,1	230,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	51,4	104,1	112,3
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	275,8	287,2	281,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	489,9	122,9	112,5
	სულ	10 612,5	12 660,3	11 566,8

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -1 748,0

ათასი ლარის ოდენობით

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -1 832,4

ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 84,4 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 81,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 131,6 ათასი ლარი (მ.შ. 1,6 ათასი ლარი 2016 წლის ნაშთიდან)

- ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 71,6 ათასი ლარი (მ.შ. 1,6 ათასი ლარი 2016 წლის ნაშთიდან);
 - ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 57.3 ათასი ლარი;
 - გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 2.7ათასი ლარი;
2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობა , საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების განმტკიცება;
- საინვესტიციო გარემოსა და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- სკოლამდელი განათლებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ხარისხის ამაღლება;
- კულტურის ა დასპორტის განვითარება, რელიგიური რწმენის თავისუფლება და ახლგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ახმეტის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

1.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა. აღრიცხვაზე იქნება აყვანილი და სამედიცინო შემოწმებას გაივლის 200- მდე წვევამდელი.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- არსებული რესურსებისა და თავდაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებისათვის ქალაქის მცხოვრებთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებისა და გაწვევის კოორდინაცია;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საქართველოს სამხედრო ძალების ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობით უზრუნველყოფა;

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შენარჩუნება და განახლება, ასფალტის საფარის ორმული შეკეთება, რაც გააუმჯობესებს არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურას. დაზიანებული ქვაფენილების და ტროტუარების აღდგენა-რეაბილიტაცია დამოპირკეთება ასფალტო-ბეტონის საფარით. კერძოდ 2017 წლის განმავლობაში ცალკეული ობიექტების მიხედვით გათვალისწინებულია:-სოფელ საკობიანოში რკინაბეტონის დიუკერისა და შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია, მასზე გამოყოფილი თანხის ოდენობა შეადგენს 30,0 ათას ლარს,სოფელ ბირკიანში რკინა-ბეტონის ხიდის მოწყობა-15,0 ათასი ლარი,სოფელ საბეროში რკინა-ბეტონის ხიდის მოწყობა-15,0 ათასი ლარი, თუშეთში წოვათის ხიდის მოწყობა-60,0 ათასი ლარი,სოფელ მატანში ბეტონის გზის მოწყობა-30,0 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მასშტაბით შიდა გზების მოხრეშვა და ორმული შეკეთებები-146,4 ათასი ლარი,შახვეტილა-ჭართალის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია-25,0 ათასი ლარი,თუშეთისა და ტბათანის გზების რეაბილიტაცია - 95,6 ათასი ლარი, ცენტრალური ბიუჯეტით დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება 200,0 ათასი ლარი.

მიმდინარე წელს განხორციელდება აგრეთვე: ქ. ახმეტის ბ. ჩოლოყაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია - 724,5 ათასი ლარი, სოფელ ზმ. ხოდაშნის შიდა საუბნო გზის

რეაბილიტაცია - 269,2 ათასი ლარი, სოფელ ფიჩხოვანის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 486,0 ათასი ლარი, ქ. ახმეტაში ოძელაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია 142,3 ათასი ლარი.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება და ქალაქის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული გზების ზრდა .

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება

2.2.1. ბინათმშენებლობა(პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ კასრისწყალში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია რისთვისაც გამოყოფილია 160,0 ათასი ლარი და ქ. ახმეტის მრავალბინიანი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რისთვისაც გამოყოფილა 40,0 ათასი ლარი

2.2.2. წყლის სისტემის რეაბილიტაციადა ექსპლოატაცია

(პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის სისტემების და სათავე ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია, აგრეთვე არსებული სისტემის მოვლა-შენახვა. განხორციელდება სოფლების ჭაბურღილების ენერგო სისტემების მოწყობა და რეგიონალური პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრების თანადაფინანსება, კერძოდ სოფელ ოჟიოს წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის თანხის ოდენობა შეადგენს 260,0 ათას ლარს.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა.

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

- არსებული ქსელის შენარჩუნება 100%-ით.

2.2.3. ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლების სასმელი წყლის სისტემების მოვლა პატრონობის ცენტრი(პროგრამული კოდი (03 02 09) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლით უკეთ მომარაგების მიზნით საჭირო ხდება დამატებითი ჭაბურღილების მოწყობა, დაზიანებული და მოძველებული სასმელი წყლის სისტემების და სათავე ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია.

2.2.3. გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება. ქალაქისა და სოფლების ქუჩების ახალი ქსელების მოწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელებზე გახარჯული ელექტრო-ენერჯის საფასურის გადახდა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- განათებული ტერიტორია

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

- მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებული პუნქტის უზრუნველყოფა გარე განათების სისტემებით.

2.2.4. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ მოხდება სანაგვე ურნების შექმნა და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ჩატარდება დამატებითი ღონისძიებანი მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ეკოლოგიური და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. .

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ეკოლოგიური და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება, დაცულია მოსახლეობის ჯანმრთელობა.

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ტერიტორიის დასუფთავების და ნარჩენების გატანის ინტენსიურობის ზრდა.
-

2.2.5 ა(ა) იპ კეთილმოწყობისა და გარე განათების სამსახური. (პროგრამული კოდი 03 02 12) მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად მოხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა. დაიგვება ქალაქის ქუჩები ,სკვერები. განხორციელდება გზების ტექნიკური მარილით დამუშავება ,ხოლო დიდთოვლობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისაგან განთავისუფლება. საჭიროებისამებრ სისტემეტიურად გაიწმინდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, როგორც რკინა-ბეტონის ასევე გრუნტის სანიაღვრე არხები.

დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა - პატრონობა, ქალაქისა და სოფლების ქუჩების ახალი ქსელების მოწყობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ეკოლოგიური და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება, დაცული მოსახლეობის ჯანმრთელობა.
- განათებული ტერიტორია.

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ტერიტორიის დასუფთავების და ნარჩენების გატანის ინტენსიურობის ზრდა.
- განათების არსებული ქსელების შენარჩუნება 100%-ით.

2.2.6. სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

გათვალისწინებულია სოფლების სარწყავი ქსელების მოწყობის, რეაბილიტაციისა და საპროექტო დოკუმენტაციის საექსპერტო მომსახურების შესყიდვის ხარჯები.

2.2.7.სანიაღვრე არხების მოწყობა (პროგრამული კოდი 03 02 06)

საჭიროებისამებრ სისტემატიურად გაიწმინდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, როგორც რკინა-ბეტონის ასევე გრუნტის სანიაღვრე არხები.

2.2.8.სპეც ტექნიკის, და სათადარიგო ნაწილების შეძენა(პროგრამული კოდი 03 02 10).

გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის საჭიროებისათვის სასოფლო სამეურნეო მანქანების შეძენის, ტრაქტორის კაპიტალური შეკეთებისა და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯები.

2.2.9.სკვერების, ბორდიურების, დასასვენებელი ბაღებისა და მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობისა და რეაბილიტაციის ხარჯები(პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ. ახმეტის სკვერების კეთილ მოწყობის ხარჯები და სოფელ ხოდაშენში ხარების ეკლესიის ეზოს შემორობვის სამუშაოები ,რაზედაც გათვალისწინებულია 15, 0 ათას ლარი.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას.

3.1 სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბავშვების მეთვალყურეობა, მათი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა.ასაკობრივი

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 37 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას მიიღებს 1400 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბავშვების მეთვალყურეობა, მათი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა,ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სწავლების დონის განსაზღვრა,შესაბამისი პროგრამების ,სასწავლო და მეთოდური მასალების განსაზღვრა.ბავშვთა სრულფასოვანი კვების ორგანიზება.ერთ ბავშვზე თვეში საშუალოდ დაიხარჯება 28-30 ლარი. 2017 წელს სოფელ ზ. ალვის N1 და N2 საბავშვო ბაღის შენობების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გათვალისწინებულია 50,0 ათასი ლარი. ასევე მიმდინარე წელს დასრულდება სოფელ შახვეტილის საბავშვო ბაღის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები რისთვისაც გათვალისწინებულია 35,5 ათასი ლარი. დაგეგმილია აგრეთვე ქ. ახმეტის N2 და N4 საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, რისთვისაც გამოყოფილია 444,2 ათასი ლარი.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- გაუმჯობესებული სააღმზრდელო პირობები;
- ფიზიკურად ჯანმრთელი, სრულყოფილი, ფსიქოლოგიურად გაწონასწორებული მომავალი თაობის აღზრდა.
- 37 საბავშვო ბავშვთა მოემსახურება 1400-მდე ბავშვს ; დასაქმებული იქნება 310 ადამიანი, აქედან 69-მდე მასწავლებელი.
- 1000-მდე ოჯახს შეუმცირდება ბავშვის აღზრდაზე დანახარჯი. გაიზრდება ქალების დასაქმების შესაძლებლობები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მომავალი თაობის მზადყოფნა სკოლაში შესასვლელად.
- მოსწავლეთა და მშობელთა კმაყოფილების დონის ზრდა.

3.2. საჯარო სკოლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 02)

2017 წელს განხორციელდება სოფელ ქორეთის სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რისთვისაც გამოყოფილი იქნება 20,0 ათასი ლარი.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული მონაცემების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს; გარდა ამისა მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ბიბლიოთეკების, მუზეუმების, ხელოვნების სკოლის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

4.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. გათვალისწინებულია სტადიონების და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა. 2017 წელს მოეწყობა ქ. ახმეტაში ჟალურის უბნის სპორტული დარბაზი, რისთვისაც გათვალისწინებულია 70,0 ათასი ლარი, სოფელ მადრანის სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა - 50,0 ათასი ლარი, სოფელ ახშნის მინი სპორტული მოედანი , - 35,0 ათასი ლარი, შახვეტილის მინისტადიონის მოწყობა- 5,0 ათასი ლარი, ქვემო ალუნის

სპორტული შენობის რეაბილიტაცია- 50,0 ათასი ლარი, ზ. ალვანში სატრენაჟორო დარბაზის მოწყობა-30,0 ათასი ლარი ხოლო მატნის სპორტკომპლექსის თანადაფინანსებისათვის გათვალისწინებულია 215,0 ათასი ლარი.

2017 წლის განმავლობაში დაფინანსდება სამი სპორტული სკოლა,ესენია:

- აიპ სკოლის გარეშე დაწესებულება ახმეტის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა „ბახტრიონი“.
 - აიპ „ახმეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა“ ,
 - აიპ „ ზურაბ ზვიადაურის სახელობის სასპორტო სკოლა“ ,
- სკოლებში ფუნქციონირებს მიუდოს, თავისუფალი, ბერძნულ-რომაულის, მკლავჭიდის, ფეხბურთის, კალათბურთის, მძლეოსნობის, ჩოგბურთის, კინზოქსის სექციები და აღნიშნულ სექციებში ჩართულია 725-მდე ბავშვი, აქედან 50-მდე გოგონაა.პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- სპორტული ღონისძიებებისა და სრულყოფილი სასპორტო- საგანმანათლებლო ღონისძიებების ხელშეწყობა;
- მოსახლეობაში დანერგილი ცხოვრების ჯანსაღი წესი;
- ბავშვებისა და მოზარდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიური ჩაბმა;
- სპორტის სხვადასხვა სახეობებში ადგილობრივ და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენთა წარმატებული გამოსვლა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებულთა და პრიზიორთა რაოდენობის ზრდა;
- სპორტულ-გამაჯანსაღებელ სექტორში ჩართული ახალგაზრდობის რაოდენობის ზრდა.

4.2.კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მოსახლეობის კულტურული აღზრდა და მათი ჩართულობა კულტურულ ღონისძიებებში

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კულტურის სფეროში წარმატებების მიღწევა.

4.2.1.ა)პ ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ადმინისტრაციის ხარჯები(პროგრამული კოდი 05 02 01)

მოხდება ადმინისტრაციის შესანახი ხარჯებისა და სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების დაფინანსება

4.2.2.ბიბლიოთეკები (პროგრამული კოდი 05 02 02)

დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 8 ბიბლიოთეკა, სადაც დაცულია 133688 ცალი წიგნი,საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ინიციატივით მიმდინარეობს მუშაობა ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნაზე.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- არსებული წიგნის ფონდის შენარჩუნება და განახლება
- მკითხველისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

- მკითხველთა რაოდენობის ზრდა.

4.2.3.კლუბები (პროგრამული კოდი 05 02 03)

დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურის სახლები (ქ.ახმეტის, ქისტაურის, ოჟიოს, ქვ.ალვანის, ზ.ალვანის, მატნის, საკობიანოს, დუისის, ჯოყოლოს, ომალოს).

4.2.4.მუზეუმები (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუზეუმების მოვლა პატრონობის ხარჯების დაფინანსებას.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სამი მუზეუმი:

1, რაფიელ ერისთავის სახლ მუზეუმი, 2. ახმეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, 3. პანკისის ეთნოგრაფიული მუზეუმი.

აღნიშნული მუზეუმებისათვის სისტემეტიურად ხდება სამუზეუმო ექსპონატების მოძიება-მატება, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის ქრონოლოგიური პერიოდულობით დალაგება და კლასიფიკაცია. 2017 წელს რაფიელ ერისთავის სახლმუზეუმს ჩაუტარდება შენობის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები რისთვისაც გამოყოფილია 40,0 ათასი ლარი.

4.2.5.ძეგლები (პროგრამული კოდი 05 02 05)

დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა ისტორიული ეპოქის 400-ზე მეტი ისტორიული ძეგლის მოვლა-პატრონობის ხარჯები.

4.2.6.მუსიკალური კოლექტივები (პროგრამული კოდი 05 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლი „ბახტრიონი“ და ანსამბლი „პანკისი“.

4.2.7.სახელოვნებო და მუსიკალური სკოლები. (პროგრამული კოდი 05 02 07)

პროგრამა ითვალისწინებს სახელოვნებო ორგანიზაციებში შემოქმედებითი აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობას. ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული, ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას.

აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ორი სახელოვნებო სკოლა ესენია:

- აიპ „სამუსიკო სკოლების გაერთიანება“, რომელსაც აქვს ფილიალები სოფლებში: მატანი, დუისი, ზ. ალვანი, ქვ. ალვანი, სადაც ირიცხება 230 მოსწავლე. სამუსიკო სკოლის მიზანია ეზიარონ ახალგაზრდები მუსიკალური ხელოვნების საფუძვლებს, მოხდეს მათი ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება, ასევე მოხდეს მუსიკალური ხელოვნების სფეროში ინდივიდუალური შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობა, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა და შენარჩუნების მიზნით საჭირო ღონისძიებების განხორციელება, ასევე ხელი შეეწყობა ქართული ფოლკლორისა და ქართული სიმღერების შესწავლას.

- აიპ,, ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე ახალგაზრდობის სახელოვნებო, შემეცნებითი სკოლა”რომელიც ემსახურება მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარებას, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას.

სკოლა ასევე უზრუნველყოფს მომავალი თაობების ცოდნის გაღრმავებას, სკოლაში არის სახელოვნებო და შემეცნებითი წრეები, როგორცაა ხატვის, მათემატიკის, უცხოენების, ქართული ენის, ისტორიის, ჭადრაკის, ცეკვის, თიხის და გამოყენებითი ხელოვნების. სკოლაში ირიცხება 300 ბავშვი. რადგანაც სწავლა უფასოა, მშობლებს ეძლევათ საშუალება გაწეული ეკონომიით მიღებული დანაზოგი წარმართონ ოჯახის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ პროგრამაში 2017 წლისათვის გათვალისწინებულია უნარშეზღუდული ბავშვების ჩართვა, რაც უზრუნველყოფს მათ მომავალი პროფესიული ცოდნით, რადგან ისინი გარდა ფსიქოლოგიური განტვირთვისა შეისწავლიან რომელიმე პროფესიას, როგორცაა კერვა, ქარგვა, თექის დამზადება, თიხის დამუშავება და ა.შ. რაც მათი შემდგომი დამოუკიდებელი არსებობისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია. ამავე პროგრამაში შესაძლებელია ჩართული იყვნენ დიასახლისები, რომლებიც არ იღებენ სოციალურ დახმარებას და არც საპენსიო ასაკი აქვთ. აქ ისინი განერიდებიან მძიმე სოციალურ პრობლემებს და ასევე შეიძენენ განათლებას, რომელიც შეიძლება მათი შემოსავლის წყარო გახდეს.

სკოლაში ასევე ფუნქციონირებს სპორტული სექცია როგორცაა „კრივი,, სადაც მომზადებას გადის 35 ბავშვი.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- ნიჭიერი შემოქმედების აღმოჩენა-წარმოჩენა, შემოქმედებითი პროცესის ინტენსივობა;
- გაუმჯობესდება ოჯახების სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა;
- მომავალი თაობების ცოდნის გაღრმავება და მეორადი პროფესიის შექმნა

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ჩატარებული სახელოვნებო კონცერტების, გამოფენების, ადგილობრივი ღონისძიებების რაოდენობა;
- ხელოვანთა მიღწევები სხვადასხვა ასპარეზზე და დადებითი გამოხმაურება მედიაში.

**4.2.8 ა(ა)იპ „თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია”
(პროგრამული კოდი 05 02.09)**

თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტერიტორია შეადგენს 314343 ჰექტარს და მოიცავს თუშეთის ტერიტორიაზე არსებულ 48 სოფელსა და ნასოფლარს, მათ მიმდებარე სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, ტყის ნაწილებს, გზებს. პროგრამის მიზანია თვითმყოფადი ისტორიულ-კულტურული გარემოს შენარჩუნება, ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის აღდგენისა და განვითარების ხელშეწყობა, ასევე ეროზიული გავლენის ზონაში მოხვედრილი ტერიტორიების დაცვა ანთროპოგენული ზემოქმედებისაგან, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა. მზავრთა უსაფრთხოდ გადაადგილების უზრუნველსაყოფად სტრუქტურულად განხორციელდება თუშეთის შიდა გზების რეაბილიტაცია და წმენდა ნაშალისაგან. თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო

